№ 78
(11 227)
2 – 5 ოქტომბერი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიზი
ევროპის თასი
საერთაშორისო ტურნირები

ფოთელებმა გამორჩეული თანადგომა იციან...



საქართველოში დღეს კრივი ერთადერთი სპორტის ოლიმპიური სახეობაა, რომელშიაც მიღწევები სტაბილურად შეიძლება ჩაითვალოს. ამ დღეებში ათენში გამართულ ევროპის თასის გათამაშებაში მოპოვებულმა წარმატებამ კი, ვინ იცის, ჩვენში კრივის განვითარებას სრულიად ახალი სტიმული მისცეს და ამაში უდიდესი იქნება ფოთის წვლილი. რომ არა ფოთელთა თანადგომა, ჩვენი დელეგაცია ასეთი ხალხმრავალი შემადგენლობით ვერ წავიდოდა ათენში. დელეგაციის 9 წევრიდან 5 ფოთმა დააფინანსა. მართალია, 5 მოკრივიდან 4 ფოთელი იყო, მაგრამ თუნდაც თვით სპორტსმენებს რეგიონები ხომ იშვიათად უწევენ ფინანსურ დახმარებას. ფოთელთაგან არც ერთი არ დარჩენილა საპრიზო ადგილის შმომა: კობა გოგოლაძე (60 კგ) პირველ ადგილზე გავიდა. ვოვა ჭანტურია (91) — მეორე იყო, დავით ხურცილავა (57) და ზაზა კუპავა (75) — მესამე. მეხუთე მონაწილე გორელი რამაზ გაზაშვილი (54) პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ამ ტურნირზე უფროსი მწვრთნელი, ფედერაციის გენერალური მდივანი თემურ კუტივაძე.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ირანში, სერგო ბერძენიშვილის და ზურაბ გუნიას ხელმძღვანელობით, საერთაშორისო ტურნირში ჩვენმა მოკრივეებმა 8 მედალი მოიპოვეს (სულ 11 სპორტსმენი გამოვიდა რინგზე), მათ შორის ერთი ფოთელიც იყო — ზურაბ უჩანეიშვილი (91), რომელსაც III ადგილი ხვდა წილად. ტურნირში გაიმარჯვეს თბილისელებმა ლაშა იოსელიანმა (57), დავით გეგეშიძემ (81) და დავით ადამაშვილმა (51), მეორენი იყვნენ — ქუთაისელი მამუკა გორდეზიანი (54) და თბილისელი ლევან ჯანჯღავა (71), მესამე — ასევე თბილისელები — უშანგ რურუა (60), ზურაბ ქებაძე (75), გურჯაანელი ზაზა ლაზიშვილი (75) და ზემოთ უკვე მოხსენიებული ზურაბ უჩანეიშვილი.

მ. ფუფუნავა



თემურ კუტივაძე

კობა გოგოლაძე

ზაზა კუპავა

გუშინ: ალექსანდრე ჩივაძის პრესკონფერენცია

სსფ-ს პრეზიდენტობის მეოთხე კანდიდატი – უძილო ღამეების პირმეო

სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატად ალექსანდრე ჩივაძის აღქმა, აბარა მოულოდნელობა უნდა ყოფილიყო – ჩვენ ხომ კარგა ხანია ვიცით, თუ რარიგ არაორდინარული ვიცეპრეზიდენტი ჰყავდა და შემდეგ უკვე პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავს სფფ-ს. ახლა კი იამანიძის № 5-ში მოღვაწე ხალხს, როგორც იქნა ერთადერთი, განუმეორებელი ფავორიტი ეღირსა, რაც მათ გაბადრული და კმაყოფილი სახეებიდან ადვილად იკითხებოდა...

ბატონმა საშამ თავიდანვე განგვიცხადა, რომ 24 ივლისს დანიშნულ, მაგრამ არშემდგარ ყრილობაზე

იხ. მე-5 გვ.

აქტუალური თემა

დაიმახსოვრეთ ეი სექტემბერი, ეს დღე შეიძლება ბაკურიანის აღორძინების დასაწყისად იქცეს

ფრანკო კასპერი (მარჯვნივ) და გოგი თოფაძე ბაკურიანში

1989 წლის აპრილის პირველ კვირასა და 1998 წლის სექტემბრის ბოლო კვირას შორის, ქართული სპორტის მემატიანე უთუოდ გაავლებს პარალელს და მივა იმ დასკვნამდე, რომ ის, რაც ადრე იყო ჩაფიქრებული, ღირებულებათა გადაფასების შემდეგ, ადრე თუ გვიან აუცილებლად ასრულდება.

1989 წლის აპრილი. მოსკოვში ბაკურიანის თაობაზე გამართული მწვავე დებატების შემდეგ — გამოეყენებინათ თუ არა ჩვენი კურორტი ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ ციკლში ზამთრის თამაშების მასპინძლობის კანდიდატთა შორის, თითქმის მარცხით დამთავრდა. მიზეზი თქვენ სსრკავშირიდან გამოყოფა გინდათ, მილიონებს კი არასტაბილურ რესპუბლიკაში ვერ ჩავდებთო. და მაინც, რჩებოდა იმედი, იმედი იმისა, რომ საბოლოო განაჩენი ჯერ არ იყო გამოტანილი და ეგებ საქმე სასიკეთოდ შემობრუნებულიყო. საქართველოს იმჟამინდელი ხელმძღვანელი ჯუმბერ პატიაშვილი დაჟინებით სთხოვდა მოსკოვს საქართველოში კომპეტენტური კომისია გამოეგზავნა და ამის შემდეგ მიეღოთ საბოლოო გადაწყვეტილება. კომისია მართლაც ჩამოვიდა მაშინდელი საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მარატ გრამოვის ხელმძღვანელობით. სტუმრებს თბილისის აეროპორტში საგანგებოდ ელოდა შეეულმფრენი. ამ სტრიქონების ავტორი, გაზეთის ერთადერთი რედაქტორი და ჟურნალისტი იყო, რომელიც აეროპორტში გამოიძახეს, რათა დელეგაციასთან ერთად გაფრენილიყო ბაკურიანში. ეს იყო ბაკურიანელთათვის უდიდესი სიხარულის დღე, ლამის მთელი დაბა შეიკრიბა შვეულმფრენთან. დავათვალიერეთ ბაზები, ავედით კოხტაგორაზე, ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი სტუმრებს, ენერგიულად,

იხ. მე-2 გვ.



გუშინვე პრესკონფერენცია გამართა მურთაზ ხურცილავამ

თბილისის „დინამოს“ თავკაცი მზადაა უშუალოდ შეხვდეს გულშემატკივრებს და აცხადებს, რომ იგი თავის დანაშაულს ვერ ხედავს

ქართული კლუბების მორიგი მძიმე შემოდგომა, უფრო სწორად, ქართული კლუბებს ყველაზე მძიმე შემოდგომა დაგვიდგა. რაც გვქონდა ან გვაქვს, ისიც ხელიდან გვეცლება. თბილისის „დინამო“ გულშემატკივრე-

იხ. მე-5 გვ.

გუშინ, თბილისში დაიწყო საქართველოს VIII ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე

ნაღვილი ბრძოლა 5-6 ტურის შემდეგ გაჩაღდება

14 ტური გუნდური შეჯიბრებისთვის ძალიან ბევრია. შვეიცარიული სისტემით ამაზე ხანგრძლივი შეჯიბრებები საერთოდ არ ტარდება. ამიტომ ნაკრებები ძალების დაზოგვას ცდილობენ. დასაწყისში ხაზგასმული სიფრთხილით თამაშობენ და აკვირდებიან მეტოქეებს. ნამდვილი ბრძოლა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ 5-6 ტურის შემდეგ იწყება, როცა ლიდერთა ჯგუფი ასე თუ ისე გამოიკვეთება. მანამდე კი ბევრია შემთხვევითი შეხვედრები, როცა უძლიერესი გუნდები ხშირად აშკარა აუტსაიდერებს ეთამაშებიან.

საქართველოს ნაკრებები ჯერჯერობით ნაკლებად ძლიერ მეტოქეებს ხვდებიან. ჩვენი ქალების მოწინააღმდეგეები პირველ ტურში ფინელები იყვნენ. მაია ჩიბურდანიძემ პირველ დაფაზე გაიმარჯვა, ნანა იოსელიანმა და ნინო ხურციძემ ყაიმით დაასრულეს შეხვედრები. 2:1 — ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი დიდოსტატები მეორე ტურშიც არც ისე ძლიერ ორქულიან მეტოქეებს შეხვდებოდნენ.

ჩვენი მეორე მეტოქე კუბის ნაკრები იყო. ამჯერად მაიამ ყაიმით დაასრულა შეხვედრა, ნანა იოსელიანმა და ქეთევან არახამიამ გაიმარჯვეს. მატჩის საბოლოო შედეგია 2,5:0,5. ამრიგად, ჩვენმა დიდოსტატმა ქალებმა 6 შესაძლებლიდან 4,5 ქულა მოაგროვეს.

ვაჟები პირველ დღეს ლუქსემბურგის ნაკრებს შეხვდნენ. ზურაბ აზმაიფარაშვილმა, გია გიორგაძემ და ზურაბ სტურუამ მოიგეს შეხვედრები, ხოლო ხვიჩა სუპატაშვილმა ბრძოლის უკანასკნელ, მეშვიდე საათზე ყაიმით დაასრულა პარტია 3,5:0,5.

მეორე ტურში საქართველოს ვაჟთა ნაკრები ლიტვის გუნდს ეთამაშებოდა. ამ შეხვედრაში გაიმარჯვეს აზმაიფარაშვილმა და სტურუამ, ხოლო გიორგაძე და ჯანჯღავა ყაიმებს დასჯერდნენ. მატჩის საბოლოო ანგარიშია 3:1. საქართველოს ნაკრებს 8 შესაძლებლიდან 6,5 ქულა აქვს და ახლა თანდათანობით უფრო სერიოზულ მეტოქეებთან მოუხდება თამაში.

ცხადია, ოლიმპიადაზე სიურპრიზსაც წავაწყდებით. ბევრმა გამოჩენილმა მოჭადრაკემ საერთოდ არ მოისურვა ელისტაში ჩასვლა. იუდით პოლგარი ქალების შეჯიბრებას ხომ არ ეკარება და არ ეკარება. ორ უკანასკნელ ოლიმპიადაზე იგი, მართალია, რაიმე წარმატების გარეშე, უნგრეთის გუნდს ლიდერობდა. ახლა მან იუკადრისა, რომ უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციამ პირველი დაფა ზოლტან ალმაშის დაუთმო და, ამრიგად, არც ვაჟების ნაკრებში მოისურვა თამაში.

დღე პირველი — უსენსაციოდ

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოწინავე საკალათბურთო გუნდები ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდიან და ბევრმა საშეჯიბრო თანხასაც ვერ მოუყარა თავი, მაინც მოხერხდა ახალი სეზონის გადავადებულ ვადაში დაწყება — საქართველოს ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში 9 გუნდი ერთვება.

გუშინ ვერის ბაღში I ტურის ორი მატჩი გაიმართა.

კოლხა: **არველაძე (9), აბულაძე (22), თოდუა (2), ბერია (11), კვაჭაძე, უგრეხელიძე (11), ქვილითაია (6), ბერიშვილი (9).**

აზოტი: **ბაბიაშვილი (24), ბერუაშვილი (12), გოგოლაძე (8), ჩაჩუა, ბერიაშვილი (2), ჯაფარიძე (10), გოგობერიშვილი (17), ჯიმშელეიშვილი.**

რუსთაველთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა — ეს გუნდი სათამაშო კლასით და შემსრულებლებით მეტოქეზე მთელი თავით მაღლა დგას. მიუხედავად ამისა, მატჩი სანახობრივად საინტერესოდ წარიმართა. სხუმელთა რიგებში მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა 17 წლის ვანო აბულაძე (206 სმ), „აზოტში“ კი ეფექტური სროლები წაუვიდა 16 წლის ლაშა ბაბიაშვილს (200 სმ).

როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველთა უპირატესობა თვალსაჩინო იყო. ოთარ ხმელიძის შეგირდებმა აუდელვებლად მიიყვანეს საქმე ბოლომდე.

დინამო (თბილისი) – შევარდენი (თბილისი) 91:73 (48:19).

დინამო: **ნიკოლაძე (26), წიკლაური (25), შანიძე (22), მეჭურჭლიშვილი (2), ყველაშვილი, მანველიშვილი (4), ჭყო-**

იხ. მე-5 გვ.

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი IX ტური

მატჩები 2, 3, და 4 ოქტომბერს გაიმართება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შაბათს შეხვედრა მცხეთაში, სადაც „ვიტ-ჯორჯია“ თბილისის „დინამოს“ უმასპინძლებს. ვეტერინართა გუნდში, ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ, ბოლნისის „სიონში“ გადასული მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე ჯემალ მახარაშვილმა შეცვალა. ეს ის მახარაშვილია, რომელმაც უკვე მოასწრო ნაყოფიერად ემუშავა ყარლის „დურუჯში“, თელავის „კახეთში“, თბილისის „კოდაკოში“. „ახალი სისხლი“ გუნდს გამოადგა, „ვიტ-ჯორჯიამ“ წყალტუბოდან სამი ქულა „ჩამოიტანა“. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჩვენი ქვეჯნის უცვლელი ჩემპიონი „ვილემ-II“-თან განცდილი ფიასკოს შემდეგ ახლა ნოკდაუნში იმყოფება, მცხეთაში შეიძლება სენსაციის მოწმენიც გავხდეთ.

4 ოქტომბერი – ქართული სპორტის დღეა!

დაიმახსოვრეთ 30 სექტემბერი, ეს დღე შეიძლება ბაკურიანის აღორძინების დასაწყისად იქცეს

(პირველი გვერდიდან)

დაბეჯითებით უმტკიცებდა, რომ ყველა პრობლემა გადაიჭრებოდა, მათ შორის სარკინიგზოც – სამხრეთის მთათა მასივს გადაკვეთდა კიდური რკინიგზა, რომელიც სასურველამდე შეამცირებდა მანძილს თბილისიდან ბაკურიანამდე, რასაც მაშინ ერთ-ერთ პრეტენზიად გვიყენებდნენ. თამაშებს, თუ საამისო უფლებას მოვიპოვებდით, თბილისი და გუდაურიც უმასპინძლებდა. შემდეგ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყნა გახდა, მაშინ მთავარი მაინც ეს იყო. ბაკურიანის დრო მერეც დადგებოდა, და აი, დადგა კიდეც.

1998 წლის სექტემბერი. თითქმის 10 წლიანი ვაკუუმის შემდეგ ბაკურიანის ცაზე კვლავ გამოჩნდა შვეულმფრენი, როგორც იმედის მახარობელი. ეს იყო გუშინწინ, 30 სექტემბერს, დილის 10 საათსა და 30 წუთზე. სტუმრებმა ჯერ საჰაერო სიმაღლიდან დაათვალიერეს დაბა, შემდეგ იქვე, იმავე მინდორზე დაეშვა, სადაც 1989

წელს დაჯდა, ისევ მოიყარეს ბაკურიანელებმა თავი „რკინის ფრინველთან“.

ამჟამად, თვითმფრინავიდან გადმოვიდა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფის) პრეზიდენტი ჯან-ფრანკო კასპერი, რომელიც წლეულს აირჩიეს ამ თანამდებობაზე გენერალური მდივნობიდან და რომლის აქტიურ მხარდამჭერთა შორის, ჩვენი ფედერაციაც იყო. მასთან ერთად ჩამოვიდა ევროპის ქვეყნების კურატორი იოზეფ მაინერი. სტუმრებს მეგზურობას უწევდნენ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე და ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი სამოთ მოთხილამურე გერა აბრამიშვილი. ისევე, როგორც 1989 წელს, ვინც ამჟამად, მოვლენის ეპიცენტრში აღმოჩნდა, ერთადერთი ჟურნალისტი ამ სტრიქონების ავტორი იყო. ეს ექსკლუზიური ინტერვიუც ბაკურიანში შედგა. თარჯიმნობას გოგის ვაჟი, გიორგი თოფაძე გვიწევდა.

● *ბატონო კასპერ, ბაკურიანში პირველად ბრძანდებით?*

– არა, ადრეც ვიყავი, ტრამპლინიდან მხტომელთა საერთაშორისო ასპარეზობას დავესწარი. ასე რომ, თქვენი შესანიშნავი დაბა თეთრ საბურველშიც ვნახე და შემოდგომის შთამბეჭდავ ფერებშიც.

● *თუ შეიძლება, გვითხარით, რა არის თქვენი სტუმრობის მიზანი?*

– მე საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ვარ და თავს მოვალედ ვთვლი ყველა წევრი ქვეყანა მოვინახულო. მაგრამ ამჯერად სხვა მიზანიც მაქვს – განვიხილოთ ბაკურიანის სპორტული პროფილის გაცოცხლების პერსპექტივა. მე იმ აზრისა ვარ, რომ ეს საქმე მომავალი საუკუნისთვის არ უნდა გადავდოთ.

● *მაგრამ ჩვენნაირი ღარიბი ქვეყნისთვის ეს ხომ ჯერჯერობით ფუჭი ოცნებაა, ახალი საუკუნე კი კარსაა მომდგარი...*

– გერმანელებს აქვთ გამოთქმა: „შენი ბედი შენს ხელთაა“. უნდა გამოინახოს შესაძლებლობები და რაც შეიძლება სწრაფად. ეს მადლიანი კუთხე, ბაკურიანი, სადაც თოვლის სიუხვეა და ზამთარი ლამის 5 თვე გრძელდება, როგორ შეიძლება მოცდეს. მსოფლიოში ბევრია სათხილამურო ცენტრი, მაგრამ ბაკურიანი, მაინც სულ სხვაა. ეს მე კარგად ვიცი, თქვენი ხალხის ხასიათიც ხომ მომხიბლველია.

● *თქვენი აზრით, ბაკურიანის პერსპექტივა უნდა განვიხილოთ, როგორც სპორტის ზამთრის სახეობებისა და, როგორც ზამთრის ტურიზმის კერისა?*

– დიახ, დიახ! ახლა, როცა სტუმრებს, მოსკოვის გავლით აღარ უხდებათ თქვენთან ჩამოსვლა, ბაკურიანს უამრავი ხალხი მოაწყდება. ამიტომ უნდა დაჩქარდეს აქაურობის მოდერნიზება, შეიქმნას ისეთი ინფრასტრუქტურა, რომ ბაკურიანში შეიძლებოდეს, როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური შეჯიბრებების ჩატარება, ფართოდ უნდა დაინერგოს საოჯახო ტურიზმი. ფაქტობრივად, ბაკურიანის აღორძინებით, კავკასიას ავითვისებთ, როგორც რეგიონს – ცენტრით ბაკურიანი.

● *ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ, როგორ საიდან, აკი გითხარით, უჭირს ჩვენს ქვეყანას, თქვენ გაქვთ იმედი, რომ ინვესტორები გამოჩნდებიან?*

– გამოჩნდებიან, მაგრამ გარანტიებია საჭირო, პირველი ნაბიჯები კი ახლავე, მაინც თქვენვე უნდა გადადგათ. ჩვენი ფედერაცია გარკვეული გარანტი იქნება, ჩემი ჩამოსვლის ერთ-ერთ მიზანი პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრა და ამ სიტყვების გაცხადებაცაა, მაგრამ თვით თქვენი ქვეყნის მეთაურია ყველაზე დიდი გარანტი, შევარდნაძეს მთელი მსოფლიო მიიჩნევს უდიდეს პოლიტიკოსად და პატივს სცემს.

● *ბატონო კასპერ! თქვენი ფედერაციიდან კიდევ რა დახმარებას შეიძლება ელოდეს საქართველო?*

– ჩვენ გვაქვს შემუშავებული საგანგებო პროგრამა, რომელიც განვითარებადი ქვეყნების დახმარებას ითვალისწინებს. თქვენ ძალიან ნიჭიერი მოზარდები გყავთ. მათ ჩვენ ვეხმარებით, რათა ისინი უწყვეტი ციკლით მოემზადონ ევროპაში, სხვაგან, ფედერაციას ინვენტარითაც ვამარაგებთ. საგანგებო პროგრამა დოგმა არ არის, ჩვენ შეგვიძლია, მასში კორექტივები შევიტანოთ, სულაც პროგრამისგან დამოუკიდებლად, მეტი დახმარება გაგიწოთ. ამას დრო გვიჩვენებს.

გოგი თოფაძე: რაკი ბაკურიანის აღორძინების საქმეში ასე აქტიურად ჩავებით, დადგა დრო, საქმეს პრაქტიკულად შევუდგეთ. ფირმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მზადაა საქმის დასაწყისისთვის გაიღოს ერთი მილიონი ლარი, 3-4 მილიონის მოზიდვას, კოოპერირების გზით, სხვა ფირმებიდან ვაპირებთ ჩემი ბიზნესმენი მეგობრების დახმარებით...

P.S. იმავე დღეს ბატონი ჯან-ფრანკო კასპერი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდა და გვიან ღამით, ვიზიტით კმაყოფილი, უკანვე გაბრუნდა.

თენგიზ გაჩეჩილაძე

... მივედი, ვნახე, დავჯამარცხე!

თბილისელ ცხენოსნებს, თამამად შეუძლიათ თქვან ასე, პირველად რომ მონაწილეობდნენ მთლიანი გუნდით ეროვნულ სახეობებში, რომლის ქვეყნის ჩემპიონატს აბაშა მასპინძლობდა. ეს წარმატება თბილისის იპოდრომის დირექტორის ლაშა ჯაიანის უდავო დამსახურებაა, რომელმაც განათლების სამინისტროს ცხენოსნობის ბავშვთა და მოზარდა სკოლის აღსაზრდელთაგან, საცხენოსნო ბაზის სპორტსმენთაგან და აფხაზეთიდან ლტოლვილთაგან შექმნა გუნდი, რომელმაც ტოლი არაფერში დაუდო ეროვნული სახეობის ცენტრების ფოთის, სენაკის, აბაშის, სამტრედიის, ხონისა და სხვათა წარმომადგენლებს, პირწმინდად სძლია გამარჯვების ტრადიციულ პრეტენდენტებს.

ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა შორის, რომლებიც სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოდიოდნენ საქომაგოდ. ეს სულაც არ ყოფილა შემთხვევითი, ვინაიდან დასავლეთში ამოქმედებულია საცხენოსნო სპორტკლუბები, რომლებსაც სათავეში უდგანან ცხენოსნობის ნამდვილი ენთუზიასტი, მოსიყვარულე ადამიანები. მათ შორისაა სამტრედიის კლუბის დირექტორი, 52 წლის ვეტერანი პავლე კაპანაძე, იგი ცხენბურთის დაინდის გუნდს კაპიტნობდა და უცვლელად მონაწილეობდა ორთაბრძოლებში. ადარაფერს ვამბობთ მასპინძელთა კლუბის დირექტორზე, ცნობილ ცხენოსან ჯემალ ქორჩილავაზე. მისმა თანადგომამ და მონდომებამ დიდად შეუწყო ხელი შეჯიბრებას სავსებით დამაკმაყოფილებელი, სათანადო პირობები რომ შექმნდა, რისიც დიდად კმაყოფილნი დარჩნენ მონაწილე-მხედრები.

საერთო გუნდურ პირველობაში თბილისელთა კვალდაკვალ, მომდევნო ადგილებზეა ფოთისა და სენაკის ნაკრებები. თბილისელები ცხენბურთშიც უძლიერესნი იყვნენ. ფინალურ შეხვედრაში მათი მეტოქე იყო ტრადიციულად აღიარებული ძლიერი მოთამაშეებისაგან შემდგარი სენაკის გუნდი. ეს გადამწყვეტი მატჩი დედაქალაქელებმა 8:6 მოიგეს. მესამე ადგილი ფოთელ ცხენბურთელებს ხვდათ.

ორკილომეტრიან დოდში ბადალი არ ჰყავდა გალელ ირაკლი ნარმანიას, მას ფინიშზე მიჰყვნენ თბილისელი გიორგი სამხარაძე და ფოთელი ალექსანდრე მირუაშვილი.

ექვსკილომეტრიან მარულაში გაიმარჯვა თბილისელმა ირაკლი ბულისკერიამ, ა. მირუაშვილი აქაც მეორე იყო, მესამე ადგილი მარულის გალელი ოსტატების ლაბაშიების მემკვიდრეს ცოტნე ლაბაშიას ერგო.

ახლა ჯერი ფოთზე მიდგა. აქაური იპოდრომი საქართველოს ჩემპიონატს, უმასპინძლებს ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში.

ჯ. უნგრიაძე

PS. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული შეჯიბრებისადმი რამდენადაც დიდი იყო ინტერესი, იმდენად შეურაცხმყოფელი იყო ის შეხლა-შემოხლა, უწესობა, რამაც თავი იჩინა მსაჯთა კოლეგიის წევრებსა და გუნდების წარმომადგენლებს შორის. ადამიანები, რომლებმაც ერთად შეწირეს ცხენოსნობას ათეული წლები. ამჟამად „მოსისხლე მტრებად“ იქცნენ და აღმაშფოთებელი შეურაცხყოფა მიაყენეს ერთმანეთს. თუ ამ ფაქტს ჯეროვანი შეფასება არ მიეცა, მომავალში ამგვარი თავხედობა შეიძლება წესად იქცეს და საბოლოოდ საუკუნეებით ნალოლიავებ ამ ჩვენს სპორტის ეროვნულ სახეობას უმძიმეს დარტყმას მივაყენებთ.

კანდელაკი თბილისში იჩხუბებს

11 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლეში ჯერ იაპონელი მენეჯერის მცდელობით ჩატარდება ბრძოლა წესების გარეშე, ბოლოს კი დამაგვირგვინებელი ჩხუბიც გაიმართება – ვარიანელი გიორგი კანდელაკი, ახლახანს რომ ამერიკაში, კონეკტიკუტის შტატის ქალაქ ანკერვილში პროფესიულ რინგზე მეორედ რომ გაიმარჯვა, კიდევ ერთ ამერიკელს (მას 25 ბრძოლა ჩაუტარებია და მხოლოდ ორში დამარცხებულა) შეერკინება. თუმცა კანდელაკის მენეჯერის ნოდარ ექვთიმიშვილის თქმით, 11 ოქტომბრამდე შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს და ჩვენს მოკრივეს სულ სხვა მეტოქე შეხვდეს. დაგეგმილი ყოფილა გიორგის მეოთხე ბრძოლაც – იგი სავარაუდოდ, ლონდონში 15 ნოემბერს უნდა გაიმართოს.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კასპის რაიონის სოფელ მეტეხში საზეიმოდ აღინიშნა გამოჩენილი სპორტული მოღვაწის ივანე ბოჭორიძის დაბადებიდან 80 წლისთავი. პროგრამაში ქართული ჭიდაობაც იყო, რომელსაც უამრავი მაყურებელი დაესწრო და იმ დარბაზში ჩატარდა, რომელიც თავის დროზე ივანე ბოჭორიძის თაოსნობით აშენდა მეტეხში და ახლა მისი სახელი მიეკუთვნა.

წოდების მინიჭება

სპორტის დღესთან დაკავშირებით საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისა, ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭათ:

ვიქტორ გრძელიშვილს – ქ. მცხეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს;
ნოდარ ზვიადაძეს – სპორტული საზოგადოება „შევარდენი“-ს ცენტრალური სპორტული კლუბის დირექტორს;
თორნიკე კენჭაძეს – ქ. ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს;
ვაჟა ლიპარტელიანს – ქ. აბაშის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ძმობის 26 საუკუნე

აფხაზეთის ებრაელობის წვლილი ქართულ სპორტში

ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი უმაგალითო მეგობრობის ისტორია დღეს მთელს მსოფლიოში ცნობილია.

ქვეყნის სიფარულსა და პატრიოტიზმში საქართველოში მცხოვრები ებრაელები ტოლს არ უდებენ ქართველებს. მათმა ნიჭმა და შრომამ დაუვიწყარი კვალი დატოვა ქართველი კაცის მოღვაწეობის ყველა სფეროში და მათ შორის სპორტში.

როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, აფხაზეთშიც ებრაელობის დიდი დისპარა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, თავგამოდებით იღვწოდა, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის სფეროებში.

უდიდესია ებრაელთა წვლილი აფხაზეთში სპორტის განვითარებაში. ძნელია ამ პატარა წერილში ყველას აღნიშვნა, მხოლოდ ზოგ მათგანს გავიხსენებ:

— ი. შპაკოვსკი — სპეციალობით ექიმი, ფეხბურთელი. 1932-40 წ.წ. ნორჩ ფეხბურთელებს წვრთნიდა. აფხაზეთში მან პირველმა შექმნა ფეხბურთში ბავშვთა გუნდი, რომელთა შორის საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელები აღიზარდნენ. ი. შპაკოვსკი იყო აფხაზეთის საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის შექმნის ინიციატორი და ორგანიზატორი, რომლის მთავარი ექიმი თავად გახლდათ 30-ზე მეტი წლის მანძილზე;

— რ. კაკიაშვილი — საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი საჭადრაკო მოღვაწე — აფხაზეთის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო არბიტრი ჭადრაკში, აფხაზეთში მრავალი საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზატორი და მთავარი მსაჯი.

— ლ. ზაიჩეკი — აფხაზეთის მრავალგზის ჩემპიონი ჭადრაკში.

— ლ. ნაგელი — აფხაზეთის ჩემპიონი და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ჭადრაკში;

— ბ. სიგალევიჩი — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი სასტენდო სროლაში — საქართველოს და აფხაზეთის მრავალგზის ჩემპიონი;

— გ. ეფრემაშვილი — აფხაზეთის მრავალგზის ჩემპიონი კრივში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის.

— ვ. პეტრულევიჩი — აფხაზეთის მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდმენი. 1955 წ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ცურვაში ჭაბუკებს შორის.

ასევე აღსანიშნავია აფხაზეთის ჩემპიონების და რეკორდსმენების მთელი პლეადა, მათ შორის: **ვ. პოსკალი, ს. სტაცევიჩი, ე. ვოიდკევიჩი, გ. ვერტინსკაია, ე. კობეცკი.**

სოხუმელი ფრენბურთელი **ე. მანტო** 1958 წ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში.

მნიშვნელოვანია სსრკ სპორტის ოსტატის **ლ. მინგალის** ღვაწლი აფხაზეთში აკრობატიკის განვითარების საქმეში. მისი მოწაფეები საქართველოს ნაკრების წევრები იყვნენ.

ს. ხოტმახერი — ერთ-ერთი წამყვანი მწვრთნელი იყო ტანვაჯიშში, მისი აღზრდილი გოგონები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ საქართველოს ჩემპიონატებში.

აფხაზეთში სპორტული მოძრაობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ფრენბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯმა **ა. მურკესმა** და აფხაზეთის სპორტკომიტეტის თანამშრომელმა **დ. ბროცკმა.**

ბევრი ებრაელი სპორტსმენი და სპორტის მუშაკი დაუბრუნდა თავის ძირძველ სამშობლოს, მაგრამ მათი მეორე სამშობლოს საქართველოს, აფხაზეთის სიყვარულიც თან გაიყოლეს და დღეს დიდი მადლიერებით იხსენებენ აქაურ მეგობრებს და აქ გატარებულ ცხოვრების წლებს.

სამწუხაროდ, ზოგიერთ მათგანს იძულებით მოუხდათ აფხაზეთის დატოვება და ყველა ლტოლვილთან ერთად ოცნებობს საქართველოს გამთლიანებასა და აფხაზეთში დაბრუნებაზე.

ო. ვახანია,
აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტი

UEFA ევროპის საკლუბო ჩურნირები

1/32 ფინალის განმეორებითი მატჩები

UEFA CUP — **უეფას თასი**

დინამო (თბილისი, საქართველო) – ვილემ-II (ტილბურგი, ჰოლანდია) 0-3

დინამო: გვარამაძე, ჯელაძე, დიდავა, გუჩუა, მიქაძე, კიკნაძე (კვრაცხელია, 75), ალექსიძე, მუჯირი (სახვაძე, 76), ცქიტიშვილი, ხომერიკი, აშვეთია (მელქაძე, 75)
ვილემი: ვან ფესენი, ჰიიპია, ჰილი, პრომაინონი, გალაშეკი, ვალკი, ჰეერინ გი (სესაი, 62) არტსი, აბლელაუვი, შენინგი (ლოეფინი, 78), რამზი.
გოლები: ვალკი (19), სესაი (81), რამზი (89)
გაფრთხილება: შენინგი, ხომერიკი, ჰიიპია, მიქაძე.
მსაჯი: ლუბომირ პუჩეკი (ჩეხეთი)

სკონტო (ლატვია) — ***დინამო (რუსეთი)*** 2-3 (2-2)
0-1 გუსევი (17), 0-2 გოლოვსკოი (ტ0), 1-2 პახარსი, 1-3 ტერიოხინი (76), 2-3 პახარსი (89).
ლიონი (საფრანგეთი) — ბლეკბერნი (ინგლისი) 2-2 (1-0)
1-0 კაველია (3), 1-1 პერესი (26), 2-1 გრასი (36, პენ.), 2-2 ფლიტკროფტი (56).
პარმა (იტალია) — ფენერბახჩე (თურქეთი) 3-1 (0-1)
1-0 საფეტი (23, საკ. კარში), 2-0 კრესპო (45), 2-1 ბალიჩი (59), 3-1 ბოგოსიანი (32).
რეალ-სოსიედადი (ესპანეთი) — სპარტა (ჩეხეთი) 1-0 (4-2)
კოვაჩევიჩი (52).
სელტიკი (შოტლანდია) — გიმარაეში (პორტუგალია) 2-1 (2-1)
1-0 სტაბსი (38), 1-1 სოდერსტრიომი (87), 2-1 ლარსონი (90)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ***შტუტგარტი (გერმანია)*** 0-3 (3-1)
ბალაკოვი (35), ჯორჯევიჩი (70), ბობიჩი (90).
სელტა (ესპანეთი) — არჯეში (რუმინეთი) 7-0 (1-0)
პენევი (6,13,26), მაზინიო (16), სანჩესი (82), ალბერტო (87,90).
რომა (იტალია) — სილკებორგი (დანია) 1-0 (2-0)
დელვეკიო (52).
მონაკო (საფრანგეთი) — ლკს (პოლონეთი) 0-0 (3-1)
გრაცერი (ავსტრია) — ლიტექსი (ბულგარეთი) 2-0 (1-1)
გოლომბეკი (8), აკვეკბუ (82)
ჰაიდუკი (ხორვატია) — ***ფიორენტინა (იტალია)*** 0-0 (1-2)
სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) — ***ასტონ ვილა (ინგლისი)*** 0-3 (2-3)
კოლიმორი (10, 23, 64)
სლავია (ჩეხეთი) — შალკე-04 (გერმანია) 1-0, 5-4 პენ. (0-1)
დოსტალეკი (17)
ცსკა (ბულგარეთი) — სერვეტი (შვეიცარია) 1-0 (1-2)
სტანჩევი (10)
მეცი (საფრანგეთი) — ***ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)*** 2-1, 3-4 პენ. (1-2)
0-1 მაჰროვიჩი (18), 1-1 კასტენდეში (38), 2-1 მეირე (68, პენ.)
ლივერპული (ინგლისი) — კოშიცე (სლოვაკეთი) 5-0 (3-0)
რედნაპი (23,55), ინსი (52), ფაულერი (53, 90)
ბოლონია (იტალია) — სპორტინგი (პორტუგალია) 2-1 (2-0)
0-1 ლეანრო (65), 1-1 ნერვო (78), 2-1 სინიორი (90, პენ.)
ვისლა (პოლონეთი) — მარიბორი (სლოვენია) 3-0 (2-0)
ზაიაკი (85,89), კულავიკი (90)
ბეტისი (ესპანეთი) — ვეილე (დანია) 5-0 (0-1)
პერესი (1,20,90), ფინიდი (71), გალვესი (74)
რაპიდი (ავსტრია) — ***ბორდო (საფრანგეთი)*** 1-2 (1-1)
0-1 ალიკარტე (28), 1-1 ვაგნერი (42), 1-2 დიაბატი (87)
ობილიჩი (იუგოსლავია) — ***ატლეტიკო (ესპანეთი)*** 0-1 (0-2)
კიკო (55)
მარიტიმუ (პორტუგალია) — ***ლიდსი (ინგლისი)*** 1-0, 1-4 პენ. (0-1)
სუარეში (45)
ლევერკუზენი (გერმანია) — უდინეზე (იტალია) 1-0 (1-1)
ბაინლიხი (77)
ვალენსია (ესპანეთი) — სტიაუა (რუმინეთი) 3-0 (4-3)
როშე (52), ლოპესი (56), ლუკასელი (89)
ანორთოსისი (კვიპროსი) — ***ციურიხი (შვეიცარია)*** 2-3 (0-4)
0-1 სანტანა (12), 0-2 ბარტლეტი (38), 1-2 ფიშერი (45, საკ. კარში), 1-3 ბარტლეტი (62), 2-3 კრმარევიჩი (73)
ბრიუგე (ბელგია) — უიპეშტი (უნგრეთი) 2-2 (5-0)
1-0 ბორკელმანსი (32), 1-1 კოპუნოვიჩი (50), 2-1 ვერმანტი (70), 2-2 სქანიო (90, პენ.)
გრასჰოპერსი (შვეიცარია) — ანდერლეხტი (ბელგია) 0-0 (2-0)
მარსელი (საფრანგეთი) — სიგმა (ჩეხეთი) 4-0 (2-2)
დიუგარი (19,76), პირესი (23,86)
ვერდერი (გერმანია) — ბრანი (ნორვეგია) 4-0 დ.დ. (0-2)
ვიკი (33), ვიედენერი (70), მაქსიმოვი (101), ჰ. ფლო (110)
აეკ (სალონიკი) — ***ვიტესი (ჰოლანდია)*** 3-3 (0-3)
0-1 მახლასი (11), 1-1 ნიკოლაიდისი (14), 1-2 მახლასი (17), 1-3 როიზერი (51) 2-3 კოპიცისი (68), 3-3 ნიკოლაიდისი (76)

„იკაშკაშით ვარსკვლავებო" ევროპაში, ოღონდ არა ასეთი გზით

...„დინამოს" ომონი გამოექომაგა, მეტი არავინ. ერთ დროს ჩვენი ეროვნული სიამაყე, ახლა ძალოვანების დასაცავი გახდა. ომონი კი არავის უყვარს, იმიტომ, რომ ის ომონია და ხალხში დათრგუნვის ასოციაციის გარდა, არაფერს იწვევს. მაგრამ ხალხი „დინამომაც" დათრგუნა, ის ხალხი, რომელიც საყვარელი გუნდის სტუმრად 0-3-ზე წაგების მიუხედავად, მაინც მივიდა ეროვნულ სტადიონზე, ზურგი არ შეაქცია „დინამოს", რომლის მიმართ მისი სიყვარული უკიდეგანოა...

ამ ბოლო დროს ერთი ცუდი ტენდენცია დასჩემდათ ქართველ ფეხბურთელებს – ევროპაში, როცა ესა თუ ის გუნდი აგებს, მისი ფანები მაინც ტაშს უკრავენ ფეხბურთელებს და ამხნევებენ, ჩვენები კი, თუ თამაში არ წაგვივიდა, ლანძღვა-გინებას არ გვაკლებენო. აი, სწორედ ასეთ პრიმიტიულ, ზედაპირულ „სოციოლოგიურ მიგნებებზეა" დაყრდნობილი ჩვენი ევროპამოვლილი ფეხბურთელების დიდი ნაწილი (თუ ყველა არა). ალბათ ამიტომაც უნდათ ჩვენ დინამოელებს როგორმე განერიდონ აქაურობას, აიმაღლონ ოსტატობა უკეთეს პირობებში. მაგრამ არის კი ახლა „დინამოში" ისეთი ფეხბურთელი, რომლის გადაბირებასაც საშუალო ევროპული გუნდი მოისურვებს? სამწუხაროდ, არა, რადგან ჩვენს ბიჭებს არ ეტყობათ ხასიათი, რომლითაც ნაღდ ვარსკვლავებად უნდა იქცნენ, უფრო სწორად ნაღდ ფეხბურთელებად. არ ეტყობათ, რომ ისინი საკუთარ თავზე უმწვრთნელოდ მუშაობენ... ჩვენი პოლიციელი კი „დინამოს" ონავარ გულშემატკივარს ტუქსავს, რომელსაც ერთი-ორი კენჭი მოუმარაგებია საყვარელი გუნდის ახალშეძენილი ავტობუსისათვის და გაბღენძილ წესრიგის დამცველს საქმის ვითარებას უხსნის – რას მერჩი ბიძია, მე აქ ჩემს ვარსკვლავებს ველოდებიო. ასეა, წაგებას ადვილად ეგუება კაცი, მაგრამ შერცხვენას, სულში ჩაფურთხებას ნურას უკაცრავად. არც ჩვენი ბიჭების სანატრელ ევროპაში გუობენ უპატივცემულობას, თავზე ლაფის დასხმას. აპენინზე ერთხელ დამპალი ხილი და ბოსტნეულიც და დაუშინეს ეროვნულ გუნდს, მაგრამ ასეთ რისხვას საფუძვლად მხოლოდ სიყვარული უდევს, რომლის გაფრთხილება წმიდათაწმიდა უნდა იყოს ფეხბურთელისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ის მართლა ფეხბურთელია.

ალექსანდრე კოტორაშვილს ფოტო

როგორც ჩანს, ტყუილად არ ირჯებოდა დინამოელთა თავკაცი მურთაზ ხურცილავა, როცა ევროტურნირების მოახლოებისას გვითხრა – მთავარია არ შევრცხვეთო. იმდენი იძახა ბატონმა მურთაზმა ეს, რომ მართლაც შევრცხვით და თავი არსად გამოგვეყოფა.

არშერცხვენაზე ფოკუსირებული ხურცილავას „დინამო" სიცარიელეს დაემსგავსა – არ შეუძლია მეტოქეს პრესინგი ეთამაშოს, არ შეუძლია მინდვრის იმ მონაკვეთზე, სადაც ბურთია, რიცხობრივი უპირატესობა შექმნას, ხოლო თუ მეტოქე ამას ახერხებს, „დინამო" ვერაფერს უპირისპირებს. არ შეუძლია „მეორე სართულზე" ბრძოლა, რის ვაინაჩრობით შექმნილი საგოლე მომენტის (და არა მომენტების) რეალიზება; ყველასთან და ყოველთვის აგებს ათლეტიზმში, არ ძალუძს თავის საკბილო გუნდსაც („ვლაუნია") დაასხას თავბრუ... ჩვენს გულშემატკივარს და ეროვნულ ჩემპიონატს შემყურე „ვარსკვლავს" კი მაინცდამაინც ევროპულ ცაზე სურს კიაფი. დაე, იკიაფოს, მაგრამ არა 29 აგვისტოს მორიგი, ახლა უკვე თბილისური კოშმარის გზით.

დათო თავართქილაძე

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

მეორე ტური

„A" ჯგუფი

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — კროაცია (ხორვატია) 2-0
ალექსანდრისი (22), გოჯიჩი (81).
აიაქსი (ჰოლანდია) — პორტუ (პორტუგალია) 2-1
1-0 რუდი (57), 1-1 ზაპოვიჩი (69), 2-1 ლიტმანენი (86, პენ.).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ოლიმპიაკოსი	2	1	1	0	4-2	4
აიაქსი	2	1	1	0	2-1	4
პორტუ	2	0	1	1	3-4	1
კროაცია	2	0	1	1	0-2	1

„B" ჯგუფი

რუსენბორგი (ნორვეგია) — იუვენტუსი (იტალია) 1-1
0-1 ინძაგი (27), 1-1 სკამელსრუდი (90, პენ.)
გალათასარაი (თურქეთი) — ატლეტიკი (ესპანეთი) 2-1
1-0 ბურუჭი (15), 1-1 ურსაისი (16), 2-1 ჰაჯი (90).

გალათასარაი	2	1	1	0	4-3	4
იუვენტუსი	2	0	2	0	3-3	2
რუსენბორგი	2	0	2	0	2-2	2
ატლეტიკი	2	0	1	1	2-3	1

„C" ჯგუფი

ინტერი (იტალია) — შტურმი (ავსტრია) 1-0
ჯორკაეფი (90).
სპარტაკი (რუსეთი) — რეალი (ესპანეთი) 2-1
0-1 რაული (64), 1-1 ციმბალარი (71), 2-1 ტიტოვი (78)

სპარტაკი	2	2	0	0	4-1	6
რეალი	2	1	0	1	3-2	3
ინტერი	2	1	0	1	1-2	3
შტურმი	2	0	0	2	0-3	0

„D" ჯგუფი

ბაიერნი (გერმანია) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 2-2
1-0 ელბერი (11), 1-1 იორკი (30), 1-2 სქოულზი (49), 2-2 ელბერი (90)
ბარსელონა (ესპანეთი) — ბრონდბიუ (დანია) 2-0
სონი ანდერსონი (42, 85)

ბარსელონა	2	1	1	0	5-3	4
ბრონდბიუ	2	1	0	1	2-3	3
მანჩესტერი	2	0	2	0	5-5	2
ბაიერნი	2	0	1	1	3-4	1

„E" ჯგუფი

დინამო (უკრაინა) — ლანსი (საფრანგეთი) 1-1
1-0 შევჩენკო (61), 1-1 ვერელი !62).
არსენალი (ინგლისი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2-1
1-0 ადამსი (65), 2-0 კიოუნი (73), 2-1 მაურო (88)

არსენალი	2	1	1	0	3-2	4
პანათინაიკოსი	2	1	0	1	3-3	3
ლანსი	2	0	2	0	2-2	2
დინამო	2	0	1	1	2-3	1

„F" ჯგუფი

ჰიკ (ფინეთი) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 0-0
ბენფიკა (პორტუგალია) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 2-1
1-0 გომეში (47), 1-1 რომენდალი (70), 2-1 ჟოაო პინტუ (77).

კაიზერსლაუტ.	2	1	1	0	1-0	4
ეინდჰოვენი	2	1	0	1	3-3	3
ბენფიკა	2	1	0	1	2-2	3
ჰიკ	2	0	1	1	1-2	1

ჩვენც დავისვენებთ, მათაც დავასვენებთ

ინგლისის ჯრუფიერ ლიგის ჩემპიონატში: „შეფილდი" – „არსენალი", „შეფილდელებმა კარლო დი კანიოს (მარცხნივ) ნოკაუტში გაგზავნა მსაჯი.

პირველი ტაიმის დასასრულს „შეფილდ უენსდეი" მინიმალური ანგარიშით უგებდა „არსენალს", გაუგონარი ამბავი მოხდა – უხეშად მოთამაშე მასპინძელი ფეხბურთელი დი კანიო მსაჯმა მინდვრიდან გააძევა. აღშფოთებულმა დი კანიომ მსაჯს მუცელში დაარტყა ხელი, „მეტოქე" ნოკდაუნში აღმოჩნდა.

ფეხბურთელი: „მსაჯს ხელი მსუბუქად მივარტყი, მან კი, ცუდი თავდამსხმელივით, რომელიც არარსებულ თერთმეტმეტრიანს ითხოვს, სამი-ოთხი ნაბიჯი გადადგა უკან და გაკოტრიალდა. უნდა ავიყანო ადვოკატი და ვაცხადებ, რომ მსაჯმა ეს ინციდენტი გაბერა". მსაჯი პოლ ოლკეკი: „წითელი ბარათი რომ ვუჩვენე, დი კანიო მომვარდა და მთელი ძალით მუშტი მუცელში მთხლიშა. თვალთ დამიბნელდა და გაზონზე აღმოვჩნდი. რამდენიმე წუთი სუნთქვა შემეკრა, სული ძვლივს მოვითქვი... მატჩის დამთავრებისთანავე დავწერე პატაკი და ასოციაციის ხელმძღვანელობას გავუგზავნე".

ამ პატაკის საფუძველზე უდისციპლინო ფეხბურთელს მსაჯის მიმართ არასპორტული საქციელის ბრალდება წაუყენეს. პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის თავმჯდომარემ გორდონ ტეილორმა განაცხადა, რომ დი კანიოს ეს ქმედება შესაძლოა კარიერის დასასრულად დაუჯდეს.

დიახ, ასეა ყველგან: შეეხები მსაჯს, დისკვალიფიკაცია არ აგცდება – რამდენიმე მატჩით დაწყებული, ფეხბურთიდან სამუდამო მოკვეთით დამთავრებული. და არა მარტო დისკვალიფიკაცია, სოლიდურ ფულად ჯარიმასაც გადაიხდის მოთამაშე და კლუბი.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ჩვენმა ფედერაციამ საჯარიმო სანქციების გამოტანისას თავი აარიდა საერთაშორისო გამოცდილებას და სხვა გზით წავიდა, თუმცა „ეროსიპედის გამოგონებამ" სხვა ქვეყნებთან შედარებით, სულაც არ შეამცირა საფეხბურთო ვანდალიზმის ფაქტები. კვლავ საუბარი გვაქვს გუნდებისთვის ქულის ჩამოკლების მავნე პრაქტიკაზე. არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ამ ქმედებით სფფ-ს საშუალება ეძლევა თავისი შეხედულებისაებრ არეგულიროს გუნდების სატურნირო მდგომარეობა, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელები ჯიუტად დგანან თავის პოზიციაზე. რამდენი ხანია ეურნალისტები ვთხოვთ მათ გამოვიდნენ პრესაში და დაგვისაბუთონ საქართველოში მოქმედი წეს-კანონის მართებულობა. ეგებ, ჩინოსანთა არგუმენტებმა დაგვაჯეროს, დაგვარწმუნოს. ჩვენც დავისვენებთ, მათაც დავასვენებთ...

საქართველოს თასი

1/32 ფინალის განმეორებითი მატჩები

იბერია (ქარელი) — არსენალი-2 (თბილისი) 2-0 (0-0)
ოვერია (ხაშური) — მესხეთი (ახალციხე) 3-1 (4-3)
ფაზისი (ფოთი) — ***ენგური (განმუხური)*** 2-1 (3-5)
იბერია-2 (სამტრედია) — კოლხეთი-2 (ფოთი) 3-0 (0-0)
კოლეჯი (ბათუმი) — მერცხალი (ოზურგეთი) 3-0 (2-2)
მარგვეთი (ზესტაფონი) — ტორპედო-2 (ქუთაისი) 3-1 დ.დ. (1-2)
რიონი (ქუთაისი) — სამგურალი-2 (წყალტუბო) 2-0 (1-1)
საუ (თბილისი) — ეინერი (ეინვალი) 4-0 (3-2)
მრეტები (თბილისი) — ***შსს აკადემია (თბილისი)*** 0-5 (2-3)
შავნაბადა (თელეთი) — ალგეთი (მარნეული) 3-0 (0-2)
ჭაბუკიანი (ლაგოდეხი) — ***ყვარელი 1-2 (0-2)***

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„იტალიელები შემტევი სტილით ითამაშებენ“

სულ რაღაც ერთი თვეა დინო ძოფი იტალიის ნაკრების მწვრთნელია. იქაურ ჟურნალისტებს იმედი აქვთ, რომ მისი ხელმძღვანელობით „სკუადრა აძურა“ უფრო შემტევი სტილით ითამაშებს და უკეთეს შედეგებს მიაღწევს. ჯერჯერობით კი „დინო ნაციონალეს“ ნაკრებში თითქმის არაფერი შეუცვლია.

● *იმიტომ დატოვეთ ნაკრებში ყველაფერი უცვლელად, რომ საქმე კარგად იყო?*

— არა ამის გამო არა. უბრალოდ, თანდათანობითი ცვლილების მომხრე ვარ. არა მაქვს იმისი დრო, რომ თავიდან შევქმნა გუნდი. ევროპის პირველობის შესარჩევი ციკლი ხომ უკვე დაიწყო. ისე რომ, ორი ამოცანა უნდა გადავწყვიტოთ: ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოვხვდეთ და იქ ბრძოლისუნარიანი, განახლებული ნაკრებით გავემგზავროთ. მაშინ თავიდან ავიციოლეთ იმას, რაც ორი წლის წინათ ინგლისში მოგვივიდა ევროპის პირველობაზე და იგივე, წელს, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში.

● *ბევრი აკრიტიკებდა ჩეზარე მალდინის და მათ შორის თქვენც, რომ მას მინდორზე არ გამოჰყავდა ერთდროულად ორი თავდამსხმელი: დელ პიერო და რობერტო ბაჯო. მაგრამ ამას წინათ უელსელებთან შეხვედრაში თქვენ ზუსტად ასევე მოიქეცით.*

— ბაჯო გამოვიდა მინდორზე და მაშინვე საგოლე გადაცემა შეძლო. საქმე ის არის, როს უელსის ნაკრები ძალისმიერი გუნდია. მის წინააღმდეგ ორი მომცრო ტანის ფეხბურთელის გამოყენა, ალბათ, შეცდომა იქნებოდა. ამასთან, დელ პიერო ახლა შორსაა თავისი ჩვეული მზადყოფნისაგან. დრო გავა და ისინი კვლავ ერთად ითამაშებენ.

● *თქვენ, თვითონ მეკარე, რას იტყვით ახლანდელი მეკარეების შესახებ?*

— სამი მეკარე გვყავს: პალიუკა, პერუცი და ბუფონი. სამივე იმის ღირსია, რომ ნაკრებში თამაშობდეს. ჯერჯერობით მიჭირს მათ შორის საუკეთესოს შერჩევა, ნაკრებში ეს-ეს არის მოვედი. ვნახოთ, როგორ გამოიჩენენ თავს ვარჯიშზე.

● *მსოფლიო ჩემპიონატზე ნახევარმცველებმა ალბერტინიმ და დი ბაჯომ წყვილი შეადგინეს. თქვენც ასე მოიქცევით!*

— ჩემს გუნდში ორიევსთვის მოიძებნება ადგილი, რახან მათ ჩინებულად გვიჩვენეს თავიანთი შესაძლებლობები. ოპტიმალურად მიმაჩნია სისტემა 4-4-2, აქ კი ორიევმ შუა ხაზის ცენტრში უნდა ითამაშოს.

● *დინო ბაჯო თვლის, რომ იგი ფრთაზე უკეთ ითამაშებდა.*

— მართალია? მე ასე არ ვფიქრობ.

● *რისკენ უნდა მიისწრაფოდეს თქვენი ნაკრები?*

— მაყურებლებს სიამოვნება უნდა მოუტანოს. ყველა ის გუნდი, რომელსაც აქამდე ვხელმძღვანელობდი, შემტევი სტილით თამაშობდა, ბევრი გოლი გაჰქონდა.

● *... და არანაკლებს უშვებდა საკუთარ კარში.*

— იტალიურ გუნდებს ყოველთვის ჩინებული დაცვა ჰყავდათ. ჩვენ ის გვინდა, რომ ამ რგოლებს შორის წონასწორობა იყოს.

● *იცით, როგორ უნდა მიაღწიოთ ამ წონასწორობას?*

— მგონი, ვიცი. დრო გვიჩვენებს, თუ რას მივაღწევ. მე ძალიან კარგი მასწავლებელი მყავდა — ენცო ბეარზოტი. ამ ხნის განმავლობაში მეც გამოვიტანე ზოგიერთი დასკვნა.

● *შემტევ ფეხბურთზე ლაპარაკობთ, ამავე დროს 4-4-2 სქემას ირჩევთ.*

— ნახევარმცველებმა შეტევითი ფუნქციებიც უნდა აიღონ საკუთარ თავზე. ისინი შუა ხაზის მოთამაშეებად ითვლებიან, მაგრამ არსებითად მეტოქის კარს უნდა უქმნიდნენ მუქარას.

● *როგორც კი ბეარზოტმა ნაკრების მთავარ მწვრთნელად თქვენი დანიშვნის ამბავი გაიგო, თქვა. „მე და დინოს ბევრი რამ გვაქვს საერთო. ვფიქრობ, იგი იმას გაიმეორებს, რასაც შემდეგ ვერავინ მიაღწია: ჩვენს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონობას მოუპოვებს“.*

— ბეარზოტის მადლობელი ვარ ამ სიტყვებისათვის, მაგრამ ვშიშობ, გამიჭირდება ასეთი ავანსის გამართლება მსოფლიოს უახლოეს ჩემპიონატამდე, მთელი 4 წელი რჩება, ჯერ მასზე ნუ ვიფიქრებთ. გარდა ამისა, ძალიან დიდ უსიამოვნებას განვიცდი, როცა ბეარზოტს მადარებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მის ნაკრებში დიდხანს ვთამაშობდი. ძოფი ვარ და არა ბეარზოტი №2. შევეცდები საკუთარი გზით ვიარო.

მიბაძეთ, ფულიანო ქართველებო!

საინტერესო ცნობა გაავრცელეს უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა: ავსტრიელმა ბიზნესმენმა ფრანკ სტრონახმა გადაწყვიტა დიდძალი თანხა დაანდოს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებლად. პირველ რიგში, იგი აყალიბებს კლუბს, რომელიც ევროპის სუპერლიგაში ითამაშებს. საამისოდ, სტრონახმა უკვე გამოჰყო 800 მილიონი შილინგი (დაახლოებით 64 მილიონი დოლარი) და კლუბში წამყვანი ავსტრიელი მოთამაშეები მიიწვია. ამგვარად, იგი მალე ქვეყნის ეროვნული ნაკრებისმაგვარ კოლექტივად ჩამოყალიბდება.

ბიზნესმენი ამით არ დაკმაყოფილებულა. მას გადაწყვეტილი აქვს ვენის „აუსტრიასა“ და „რაპიდში“ შესაბამისად, 30 და 40 მილიონი დოლარის ინვესტიციები ჩადოს. გარდა ამისა, სტონახს სურს ჩამოაყალიბოს ახალგაზრდა ფეხბურთელების აკადემია და მის დასაარსებლად 20 მილიონი დოლარის გაღებას გეგმავს. და ბოლოს, ზალცბურგელ მილიონერს, მშობლიურ ქალაქში ახალი სტადიონის აშენება დაუგეგმავს.

როდესაც ამ ინფორმაციას ეცნობი და ქართული ფეხბურთის სავალალო მდგომარეობას ადარებ, ძალაუნებურად შურით ივსები — რატომ არ არის ბიზნესმენი ფრანკ სტრონახი ქართველი?

ძვირი ტრანსფერები

ნაკლებად ცნობილი სტივ სიმონსენი ბრიტანეთის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული მეკარე გახდა. მისი ტრანსფერი „ტრანმერედან“ ლივერპულის „ევერტონში“ 3,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა (5,4 მილიონი დოლარი). ამით 19 წლის სიმონსენმა მოხსნა ინგლისის ნაკრების მეკარე ნაიჯელ მარტინის რეკორდი, რომელიც 1997 წლის ივლისში „კრისტალ პალასიდან“ „ლიდს იუნაიტედში“ 2,25 მილიონ გირვანქა სტერლინგის (3,7 მილიონ დოლარის) ფასად გადავიდა. ამდენი სიმონსენს იმიტომ გადაუხადეს, რომ იგი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მეკარეა.

ნიგერიელი ხორუნა ბაბანგიდა, „აიაქსის“ ცნობილ ფორვარდისა და ოლიმპიურ ჩემპიონ ტიჯანი ბაბანგიდას უმცროსი ძმაა. ბოლო სეზონში „ბარსელონას“ ახალგაზრდული შემადგენლობის 21 მატჩში 37 გოლი გაიტანა. ამიტომაც „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ თუ ვინმეს უნდა უმცროსი ბაბანგიდას შეძენა, 800 მილიონი პესეტი (5,3 მილიონი დოლარი) უნდა გადაიხადოს.

მძიმე ტრანზიტის რეციდივი

ხორვატიის ფეხბურთის ვარსკვლავ რობერტ პროსინეჩკის, რომელიც ახლა ზაგრების „კროაციაში“ გამოდის, ჩემპიონთა ლიგის ამასწინანდელ მატჩში ამსტერდამის „აიაქსთან“ ზურგის ძველმა ტრავმამ გაუხსენა და ახლა პრაქტიკულად გაუნძრევლად წევს.

— ჯერაც ვერ გადამიწყვეტია, საოპერაციო მაგიდაზე დავწვე თუ მკურნალობის კონსერვატიულ მეთოდებს ვენდო — თქვა 30 წლის ნახევარმცველმა — ძალიან მინდა კვლავ ვითამაშო: რაც მომივიდა, არავის ვადანაშაულებ.

სნაიპერი სნაიპერად დარჩება!

დავორ შუკერი

დავორ შუკერი გარკვეული გაგებით „ისტორიაში შესული“ ფეხბურთელების რიცხვს მიეკუთვნება: მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა. რას ფიქრობს ფეხბურთელი თამაშის სხვადასხვა პრობლემის შესახებ?

● *დავორ, როგორ ახერხებთ თან ხორვატიის ნაკრების ლიდერი იყოთ და თან რადაც „თავდამსხმელის მსგავსი“ მადრიდის „რეალში“?*

— „თავდამსხმელის მსგავსის“ საკითხში თქვენ ცოტათი აჭარბებთ. მე ახლა იმიტომ არ ვთამაშობ, რომ ცოტათი დავშავდი. თამაშს დღე-დღეზე უნდა შევუდგე.

● *წინა სეზონში ხომ დაშავებული არ იყავით. რას აკეთებდით: ძალას იზოგავდით მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, თუ ყველაფერი ანა ობრეგონის ბრალი იყო?*

— არც ერთია სწორი და არც მეორე. ვიცი მაკრიტიკებდნენ ანა ობრეგონთან ურთიერთობის გამო, თითქოს ეს ჩემს თამაშზე უარყოფითად მოქმედებდა, ერთხელ ასეთ პლაკატსაც მოვკარი თვალი, რომლებიც გულშემატკივრებმა სტადიონზე მოიტანეს: „დავორ, მიატოვე ეს ტიკინა და დაიწყე გოლების გატანა!“ მაგრამ საქმე ხომ სულ სხვანაირად იყო! „რეალს“ ჩემს გარდა სამი ჩინებული თავდამსხმელი ჰყავს — მიატოვიჩი, რაული და მორიენტესი. გუნდის ხელმძღვანელობის პოლიტიკა ასეთია: რახან „რეალი“ ოთხ თუ ხუთ ფრონტზე თამაშობს, საჭიროა ორი თანაბარი ძალის შემადგენლობის ყოლა. ამიტომ ჩვენ მორიგეობით ვთამაშობთ, თუმცა მე არ ვურიგდები ამას. არ მინდა შევეჩვიო მოლოდინს, როდის დადგება ჩემი რიგი და როდის გამოვალ მინდორზე. ეს ხასიათს მიფუჭებს, თამაშს ზიანს აყენებს. ნაკრებში ასეთი რამ არა ხდება, იქ აღიარებული ლიდერი ვარ, შედეგებიც ამაზეა დამოკიდებული.

● *ფიქრობდით მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომ საუკეთესო ბომბარდირი გახდებოდით?*

— ყოველ შემთხვევაში, ამისი იმედი მქონდა. ასეთი წოდება ერთხელ უკვე მქონდა. ეს მოხდა 11 წლის წინათ, მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდების შორის.

● *ექვსი რიცხვი რადაც გადაულახავი აღმოჩნდა სნაიპერისათვის: უკვე 20 წელია მსოფლიო ჩემპიონატებზე მას ვერავინ გადააჭარბა.*

— ბოლო ექვს ჩემპიონატში უფრო მეტი გოლი გადიოდა, ვიდრე ეს ადრე იყო. ეს გუნდების პრაგმატიზმითაც უნდა აიხსნა. — ძალებს ინახავენ, ცდილობენ დიდი ენერგიის დაუხარჯავად მიაღწიონ წარმატებას, დაცვის ორგანიზაციაც უკეთესია, ვიდრე ეს ადრე იყო.

● *მსოფლიო ჩემპიონატების სნაიპერთა შორის თქვენ ყველაზე „ხნიერი“ ხართ. ეს წოდება 30 წლისამ მიიღეთ. „რეალმა“ წარმატებით აიღო სტარტი ჩემპიონთა ლიგაში, დაამარცხა უეფას თასის მფლობელი — მილანის „ინტერი“. როგორია თქვენი შესაძლებლობები შეინარჩუნოთ უძლიერესი საკლუბო გუნდის წოდება?*

— მართალია მძიმე ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ სხვა გუნდებზე უარესი შესაძლებლობები არ უნდა გვქონდეს. როცა ნამდვილად მაღალი კლასი გაქვს, რისი უნდა გეშინოდეს!

ფიქრები ფეხბურთის მომავალზე

იუპ ჰეინკესი (გერმანია)

იუპ ჰეინკესი, ნერლ მიულერის მემკვიდრე გერმანიის ნაკრებში, შემდეგში გამოჩენილი მწვრთნელი, რომელმაც წელს მადრიდის „რეალს“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოუპოვა, ცხადია, დიდი დაკვირვებით ადევნებდა თვალს მსოფლიო ჩემპიონატს.

– მსოფლიო ჩემპიონატზე რაიმე ტაქტიკური სიახლე ვერ ვნახე. ასე გასინჯეთ, ამ მხრივ ევროპის 1996 წლის ჩემპიონატიც კი უფრო მდიდარი იყო. მაშინ იტალიელებმა არიგო საკის ხელმძღვანელობით ზოგიერთი საინტერესო რამ გვიჩვენეს.

ამის მიუხედავად, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატმა ფეხბურთის მომავლის შესახებ ფიქრის საკმაო საფუძველი მოგვცა. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იმ გუნდებმა დატოვეს, რომლებიც აქცენტს შეტევაზე იღებდნენ, წინ იყურებოდნენ, უნდოდათ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, გამარჯვებისათვის მიეღწიათ. ამ მხრივ ჰოლანდიელები გამოირჩეოდნენ. როცა ისინი ბურთს ფლობდნენ, თავდასხმის ხაზს ერთბაშად ოთხი მოთამაშე შეადგენდა, ამასთან, ოვერმარსი და რონალდ დე ბური გარემარბების პოზიციას იკავებდნენ. ეს თამაშის ძალზე თანამედროვე სისტემა გახლავთ, რომელიც მომავალში ნიმუშად გამოგვადგება.

აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ლიბეროთი თამაშის იდეა ისტორიას უნდა ჩაბარდეს ჩემი აზრით, რომელიც საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატმაც დაადასტურა, მწვრთნელი, რომელიც ლიბეროს, ბოლო მცველს იყენებს, შუა ხაზზე საჭირო ძალას კარგავს. ნათლად შეიძლებოდა იმის დანახვა, თუ რამდენად უფრო ეფექტურია ოთხი მცველის განლაგება „მწკრივში“, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მაღალი კლასის მცველები გყავს. ნახევარფინალში გასული ოთხივე ნაკრები თამაშობდა სისტემით „მცველები ხაზზე“ – განა ეს შეიძლება შემთხვევითი იყოს. მსოფლიო ჩემპიონების მწვრთნელი ემე ჟაკე სწორედ ასე აგებდა თავისი გუნდის თამაშს, იცოდა, რომ აქედან შეიძლება მნიშვნელოვანი სარგებლობის მიღება, მეტისმეტად საშუალო თავდასხმელების დროსაც კი.

რამდენადაც უცხოელების გავლენა გერმანულ ფეხბურთზე ძლიერდება, არა მარტო მოწვეული მოთამაშეების, არამედ ბუნდესლიგაში მომუშავე საზღვარგარეთულ მწვრთნელების გამოც, ვფიქრობ, ჩვენს უძლიერეს ლიგაშიც სულ უფრო მეტი გუნდი სამ ან ოთხ მცველს განალაგებს „ხაზზე“. ძალზე მოხარული ვიქნები, თუ ამ მხრივ მსოფლიო ჩემპიონატის მაგალითი გერმანულ ფეხბურთს სარგებელს მოუტანს.

რიბეკი და მისი პრობლემები

გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა გუნდში დააბრუნა „ბაიერნის“ 37 წლის ლიბერო ლოთარ მათეუსი, ხოლო მინდორზე „ნამდვილი კაპიტანი“ ისევ 30 წლის ოლივერ ბირჰოფი იქნება. ამრიგად, ნაკრებში ორხელისუფლებიანობა დამკვიდრდება და თითოეულს თავისი წილი უფლებამოსილება ექნება. ასეთი მოდელი გერმანიის ნაკრებისათვის სულაც არაა ახალი: 80-იანი წლების გუნდშიც იყო მსგავსი რამ — კარლ ჰაინც რუმენიგე და კაპიტანი პაულ ბრაიტნერი.

ერიკ რიბეკი ცდილობს გადაჭრას სხვა პრობლემებიც. ასე, შტეფან ეფენბერგის ნაკრებში დაბრუნებაზე უარის შემდეგ გუნდში გამთამაშებლის პრობლემა წამოიჭრა. მწვრთნელს ბევრი არ უფიქრია და ამ ამპლუაზე კვლავაც ვეტერანი ანდრეას მიოლერი არჩია. რიბეკმა ასე დაახასიათა ფეხბურთელი: „ისეთი ტალანტის მქონე ფეხბურთელი, როგორიც ენდი მიოლერია, არ შეიძლება ბუნდესმწვრთნელის თვალთახედვის მიღმა რომ დარჩეს. მართალია, ის ახლა საუკეთესო ფორმაში არ არის და არც მის კლუბს აქვს საქმეები აწყობილი ერთიანზე (უმაღლესი შეფასება გერმანული სისტემის მიხედვით), მაგრამ მიოლერი დღესაც „ბორუსიის“ აუკარა ლიდერად და გუნდის რჩეულ მოქალაქედ რჩება, ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი“. რიბეკის გეგმებს ცივი წყალი თავად მიოლერმა გადაასხა: „მირჩევნია ჩემს კლუბზე მოვახდინო კონცენტრაცია. ახლა ისეთ ასაკში ვარ, რომ ერთდროულად ორ ფრონტზე ბრძოლა ძნელია“.

ბასლერი

მაშ ვინ, თუ არა მიოლერი? სპეციალისტების აზრით, რიბეკის შემდეგი არჩევანი „ბაიერნში“ მოთამაშე „სუპერმარიო“ (მარიო ბასლერი) იქნება, მით უმეტეს ფოგთსის შემცველელს არაერთხელ განუცხადებია, რომ ნაკრების საბაზო გუნდი სწორედ მიუნხენის კლუბი გახდებაო. სწორედ ამიტომ რიბეკმა გადახალისებულ ნაკრებში 8 ბავარიელი ფეხბურთელი შეიყვანა.

ახლა, 10 და 14 ოქტომბერს გერმანია ევრო-2000-ის შესარჩევ მატჩებში თურქეთსა და მოლდოვას შეხვდება. ვის უხმო გუნდში რიბეკმა: *მეკარეები* — ოლივერ კანი, შტეფან კლოსი, იენს ლემანნი; *მცველები* — მარკუს ბაბელი, ლოთარ მათეუსი, მუსტაფა დოგანი, ივ აიგენრაუხი, იენს ნოვოტნი, მარკო რემერი; *ნახევარმცველები* — მარიო ბასლერი, იენს იერემისი, თომას შტრუნცი, მიხაელ ტარნატი, შტეფან ბაინლიხი, მარკო ბოდე, იორგ ჰაინრიხი, კრისტიან ნერლინგერი, ლარს რიკენი, რალფ ვებერი, დარიუშ ვოში; თავდამსხმელები — ოლივერ ბირჰოფი, კარსტენ იანკერი, ულფ კირსტენი, ოლაფ მარშალი, ოლივერ ნევილი.

სსფ-ს პრეზიდენტობის მეოთხე კანდიდატი – უძილო ღამეების პირიშო

(პირველი გვერდიდან)

პრეზიდენტის პოსტზე ჩემი კანდიდატურა სუბიექტური მოსაზრების გამო არ წამოვაყენე და ამაზე გთხოვთ ნუღარ შემეკითხებითო. მან უკმაყოფილება გამოთქვა პრესის გამოხმაურებაზე ამ ფაქტის გამო და სფფ-ს ზოგიერთი თანამშრომლის მიმართ, ვინც ღალატად ჩაუთვალა ეს ქმედება ჩივაძეს (თუმცა, ერთ-ერთი იმათგანი ბატონ საშას გუშინ გვერდზე ეჯდა და პრესკონფერენციასაც წარმართავდა). შემდეგ სფფ-ს პრეზიდენტობის რიგით მეოთხე კანდიდატმა საკუთარი მეტამორფოზის მიზეზებიც მოგვახსენა:

მქონდა ბევრი შეხვედრები ჩვენს საფეხბურთო წრეებში, გულშემატკივრებში, რამაც ადრინდელი გადაწყვეტილება შემაცვლევინა. ამ ცოტა ხნის წინათ; თურქეთშიც გახლდით ამ ქვეყნის ფეხბურთის 75 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაზე, სადაც შევხვდი ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ხელმძღვანელებს და უეფას თავკაცობას. უეფას ხელმძღვანელებმა პირდაპირ მთხოვეს მონაწილეობა მიმეღო სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნებში, დახმარება აღმითქვეს მე და, საერთოდ, ქართულ ფეხბურთს. კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირად ურთიერთობებს და უეფამ 1 მილიონი შვეიცარული ფრანკიც გადმოგვრიცხა ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის. ჩვენ კი ოპტიმალურ ვარიანტად მივიჩნიეთ, რომ ეს ფული ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებისათვის გამოგვეყენებინა, წინაღმდეგ შემთხვევაში უეფას 1 ივლისის დადგენილების შემდეგ ჩვენი ნაკრები და თბილისის „დინამოც“ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საერთაშორისო მატჩებს ვერ გამართავდა.

მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენი ნაკრებები (მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც) და კლუბებიც უეფას ეგიდით ასპარეზობენ, რომლის პრეზიდენტად კვლავ იუჰანსონი რჩება და თუ ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებში მას მივემხრეთ ამით არაფერი წაგვიგია. ფიფას არჩევნების წინა დღეს (7 ივნისი – დ.თ.) ბლატერი მოვიდა ჩვენს დელეგაციასთან და ვითომც ხუმრობით გვითხრა – იქნებ იმ ვაგონში გადახვიდეთ, რომელიც ფინიშთან პირველი მივაო.

მოკლედ, უძილო ღამეების შემდეგ გადაწყვეტილება მივიღე ჩემი კანდიდატურა წამომეყენებინა“...

● *ალბათ წინასაარჩევნო პროგრამაც უკვე გაქვთ?*

– რასაკვირველია, მაგრამ ამჯერად უპრიანი იქნება, რომ მხოლოდ სამ ძირითად პუნქტზე გავამახვილო ყურადღება:

1) სახელმწიფომ შეღავათები უნდა მისცენ იმ ფირმებს, რომლებიც საფეხბურთო კლუბებს დაეხმარებიან; 2) კლუბებს მიეცეთ შეღავათები, რათა საკუთარი ბიზნესი აწარმოონ; 3) სფფ, კლუბები და სპორტსკოლები განთავისუფლდნენ არასაბიუჯეტო ბეგარისაგან.

● *ბატონო საშა, იცით თუ არა, რომ მმართველი პარტიის (მოქალაქეთა კავშირის) ხელმძღვანელობა წინააღმდეგია ყოველგვარი შეღავათების, რადგან ამით კრიმინალური ელემენტების აღმოცენების შესაძლებლობას ხედავს?*

– მე კი მგონია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ანგარიშს გაუწევს ჩვენს მოთხოვნებს.

● *თქვენი და მერაბ ყორდანიას ალიანსი ხომ ყველასათვის ცნობილი იყო. ახლა ის გერმანიაშია, თქვენ კი პრეზიდენტობის კანდიდატად წარმოგვიდექით...*

– მერაბთან კვლავაც ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს, ვფიქრობ, ამით ყველაფერია თქმული.

● *უეფა აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს პროგრამით გვეხმარება. თქვენ წელან პირადი ურთიერთობები ახსენეთ, რა, საქართველოს დახმარებისათვის ცალკე პროგრამას შეიმუშავებს უეფა?*

– უეფას დახმარება ლოკალური იქნება, კონკრეტული საკითხისათვის. მაგალითად, სულ ახლახან 18 ათასი დოლარი გადმორიცხა უეფამ ვაკეში ახლადგახსნილი საფეხბურთო სკოლისათვის, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი გრიგოლ ცავავა.

● *თქვენი გაპრეზიდენტების შემთხვევაში რევოლუციურ ძვრებს უნდა ველოდოთ ქართულ ფეხბურთში?*

– ვერ გავიგე, რას გულისხმობთ?

● *მაგალითად, ეროვნული ჩემპიონატის I ჯგუფის გუნდების რაოდენობის შემცირებას.*

– ეს მართლაც აქტუალური, პრობლემატური საკითხია. მაგრამ გუნდების შემცირება პანაცეა არ გახლავთ. აი, ვთქვათ „კახეთი“ რომ გავარდა პირველი ჯგუფიდან მთელ კახეთში ფაქტობრივად ჩაკვდა ფეხბურთი. ახლა რომ ბოლნისის „სიონი“ გავარდეს, ამ რეგიონსაც იგივე ელის. როცა გუნდების შემცირებაზე ვლაპარაკობთ, ბევრი რამ მხედველობაში უნდა მივიღოთ და ბევრ რამეს ანგარიში უნდა გავუწიოთ.

● *სფფ-ს პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებთან თქვენ შანსებს როგორ შეაფასებდით?*

– შანსებზე ლაპარაკი არაკორექტულად მიმაჩნია. იმას კი გეტყვით, რომ ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ეროვნულ ჩემპიონატში წესრიგი გამკაცრდება და მის დამრღვევთ საკადრისად დავსჯით. განა, შეიძლება მსაჯებს გუნდების ხელმძღვანელებიც სცემდნენ?

დათო თავართქილაძე

მიკერძოებული მსაჯობის მიუხედავად

ინტერნეტით შევიტყვეთ, ყრუ-მუნჯ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებს ბერძნები დაუმარცხებია. ამ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაწვდის ჩვენი გუნდის ექიმ-მასაჟისტი *ანზორ გაბიტაშვილი:*

საბერძნეთი – საქართველო 2-3 (2-0)

საბერძნეთი: სტროგიანიდისი, გლინოვისი (პოლინასი, 65), დინოპოლოსი, რედგოსი (დიატხიკოვისი, 86), სტავდაკოკისი, კაიპაკაკისი, დიმოუდისი, გიანოპულოსი (ვსიოულკისი, 46), რიგასი, მინასისი, კაბაჰანოსი.

საქართველო: დ. მიქავა, გაბულდანი, გულაშვილი, უგრეხელიძე, მუთოშვილი, იობიძე, ჭელიძე, ტაკაშვილი, გ. მიქავა (ჩხეიძე, 67), თათრიაშვილი (გავაშელიშვილი, 56), ვაშაკიძე (გელაშვილი, 67).

გოლები: 1-0 გიანოპულოსი (25), 2-0 დიმოუდისი (43), 2-1 თათრიაშვილი (45), 2-2 უგრეხელიძე (57), 2-3 ტაკაშვილი (80).

გააფრთხილეს: სტავდაკოკისი, ვაშაკიძე, პოლინასი, მუთოშვილი, გელაშვილი, გავაშელიშვილი.

მსაჯი: ტრინტაპილოუსი (საბერძნეთი)

გუნდებს წინასწარ მოლაპარაკებული ჰქონდათ, რომ მატჩის დღეს ჩამოფრენილი ქართველი ფეხბურთელების სულის მოსათქმელად მასპინძლებს თამაში საღამოს საათებში უნდა დაენიშნათ, მაგრამ ბერძნებმა ყურად არ იღეს ეს თხოვნა და საქართველოს დელეგაცია აეროპორტიდან, ფაქტობრივად, პირდაპირ სტადიონზე წაასხეს. ბუნებრივია, ქართველ ფეხბურთელებს დრო არ ეყოთ ადგილობრივ პირობებთან შესაგუებლად და ვიდრე „გონს მოეგნენ“ პირველი ტაიმის ბოლოსთვის უკვე ორი ბურთის სხვაობით აგებდნენ შეხვედრას. აქვე, სწრაფი კონტრიერიშის შედეგად ვახტანგ თათრიაშვილმა ერთი ბურთი გაქვითა.

შესვენების შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა უფრო აქტიურად წარმართეს მატჩი, მთელი გუნდით დასახლდნენ ბერძენთა ნახევარზე და ნიშანდობლივია, რომ ამ დროს შეგდებული გოლები მცველისა და ნახევარმცველის ანგარიშზეა.

ანზორ გაბიტაშვილის თქმით, ქართველი ფეხბურთელები აშკარად ჯობნიდნენ მეტოქეებს, რომლებსაც ვერც მათი არბიტრის მიკერძოებულმა მსაჯობამ უშველა. მოპოვებულია მეტად საჭირო სამი ქულა. VI შესარჩევ ჯგუფში საქართველოსა და საბერძნეთის ნაკრებებთან ერთად გამოდის ჩეხეთის გუნდიც. ადრე ჩეხებმა სძლიეს ბერძნებს 3-1 და ამრიგად, 17 ოქტომბერს საქართველო-ჩეხეთის ორთაბრძოლაში გადაწყდება ჯგუფში გამარჯვებულის ვინაობა. აღსანიშნავია, რომ თუ ჩვენებმა პირველი ადგილი დაიკავეს, მომდევნო ეტაპზე შეხვდებიან მეოთხე და მერვე ჯგუფებში (ხორვატია, ბრიტანეთი; რუსეთი, თურქეთი, პორტუგალია) გამარჯვებულს.

ასე რომ, ქართველ ფეხბურთელებს წინ კიდევ ცხარე ბრძოლების გადატანა მოუწევთ. რაც მთავარია, დასაწყისი იღბლიანი გამოდგა.

ჩოგბურთი
ქალთა II საერთაშორისო ტურნირი
ნვიეა – ჩოგბურთელთა ეგერი!

თბილისის „დინამოს“ თავკაცი მზადაა უშუალოდ შეხვდეს გულშემატკივრებს და აცხადებს, რომ იგი თავის დანაშაულს ვერ ხედავს“

(პირველი გვერდიდან)

ბისგან შერისხულია, არც ფეხბურთელებისთვისაა ადვილად გადასატანი ასეთი შერცხვენა. მწვრთნელი? მას ხომ ყველაზე მკაცრად ეკისრება გუნდის შერცხვენაზე პასუხისმგებლობა. ჩვენ გულშემატკივარს კი თითი მხოლოდ ხურცილავას მისამართით არ გაუშვერია, მთი რისხვა მთელ გუნდს დაატყდა. მაგრამ თუ რას იტყოდა დინამოელთა თაგკაცი „ვილემთან“ ფიასკოს (რბილად რომ ვთქვათ), შესახებ არავისთვის არ იყო ინტერესმოკლებული. მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია არ ჩატარდა და, ალბათ, ეს უკეთესიც იყო – უარყოფით ემოციებით დამუხტული ქმედებათა ექსკალაცია კარგს არაფერს მოგვიტანდა. მურთაზ ხურცილავამ პრესის საშუალებით გულშემატკივრებთან ურთიერთობა ასეთ დროს აუცილებლად მიიჩნია და, გუშინ, დიდმის ბაზაზე შეგვხვდა კიდეც. რა თქმა უნდა, ეს შეხვედრა ოფიციალურ პრესკონფერენციის ხასიათს არ ატარებდა და მეტად შინაურულ, გულახდილ ატმოსფეროში ჩატარდა.

– კრიტიკას და თქვენთან შეხვედრას არასდროს გავურბივარ, მაგრამ მატჩის შემდეგ ჩემი ფეხბურთელების მიტოვების უფლება არ მქონდა.

– დღეს ჩვენი, ვისაც ქართულ ფეხბურთზე გული შეგვტკივა, მთავარი მიზანი ის უნდა იყოს, რომ ასე გაგრძელება მართლა არ შეიძლება, ჩემს დანაშაულს „დინამოს“ ასეთ გამოსვლაში ევროტურნირებზე ვერ ვხედავ. დანაშაული არის ის, თუ გუნდი სათანადოდ ვერ მოვამზადე, ვერ ავუხსენი ფეხბურთელებს რა უნდა ემოქმედათ მინდორზე. უბრალოდ, „ვილემი“ ჩვენზე მაღლა დგას. როცა „აიაქსი“ – „ვილემის“ მატჩის ვიდეოჩანაწერი ვნახე, ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ „ვილემი“ „ატლეტიკზე“ ნაკლები გუნდი არაა-მეთქი...

– ყველაფრის თავი და თავი ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონეა. თორემ „ვილემს“ რაიმე განსაკუთრებული ვარჯიშები კი არა აქვს – რასაც ჩვენ ვაკეთებთ, იმას აკეთებენ ისინიც და არაფერ ახალს. ჩვენ იმათგან მხოლოდ ერთადერთი რამ უნდა ვისწავლოთ – საქმისადმი მიდგომა. მაგრამ ამას დაძაბული და პრინციპული თამაშები ჭირდება. თბილისის „დინამომ“ კი ასეთ თამაშებს კიდევ ერთი წელი უნდა ელოდოს. ასეა, დღეს ქართული გუნდები წვალობენ და მეტი არაფერი. „ვილემი“ და მისთანები კი სეზონში 60-70 პრინციპულ, დაძაბულ მატჩებს ატარებენ. გვაქვს ჩვენ ამის საშუალება? თბილისის „დინამოს“ თავისი შემადგენლობით ბევრად უკეთესი გუნდიც ჰყავდა, მაგრამ დიდი ანგარიშით მარცხს, მაინც ვერ აცდა. ამას არც ფეხბურთელებს ვაბრალებდა და არც მწვრთნელებს, ვიმეორებ, ეს მხოლოდ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ბრალია.

– ფეხბურთი ფეხბურთია და შეეძელით „ატლეტიკის“ ერთხელ მოგება, მაგრამ საერთო ჯამში ბასკებთან დავმარცხდით. ძალიან ბევრი ვეცადეთ, რომ „დინამოს“ ის თამაში „დაეჭირა“, რაც „ატლეტიკთან“ აჩვენა, მაგრამ არ გამოვიდა. რადგან ისინი თავ-თავიანთ ეროვნულ ჩემპიონატებში სხვანაირად თამაშობენ, სხვანაირ სისწრაფეებზე, სხვანაირი საფეხბურთო აზროვნებით. ჩვენთან კი რა ხდება – როცა თბილისის დინამოელი ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩში სათამაშო დისციპლინას არღვევს, მეტოქე ამისთვის მას ვერ სჯის, მაგრამ „ვილემი“ კი პირიქით.

ისიც უნდა გითხრათ, რომ განწყობა „ვილემთან“ განმეორებითი მატჩის წინ ჩვენ ბიჭებს არ ჰქონდათ, რადგან პირველი თამაში 0-3-ზე წავაგეთ. რა თქმა უნდა, ბევრი ვიმუშავე, ბიჭებს ვეუბნებოდი აუცილებლად უნდა მოვიგოთ ეს თამაში-მეთქი. არ მეშლება, თუ რა დავალებები უნდა მივცე ფეხბურთელს, მაგრამ ასეთ დროს, მთავარია, ამ დავალებების შემსრულელები, ის შემსრულებლები, რომლებიც არ გვყავს. აბა სულელები ხომ არ არიან უცხოური კლუბები, რომ დიდძალ თანხებს ხარჯავენ ოსტატების შესაძენად. ჩვენ შეძენის საშუალება კი არა, ვინცა გვყავანან, ყველას გაქცევაზე უჭირავს თვალი. დინამოელებს ნიჭი და პოტენცია არ აკლიათ, მაგრამ წელიწადში ერთი-ორი დაძაბული თამაშით ისინი ვერ გაიზრდებიან იმ დონემდე, რომ ევროპულ გუნდებთან მეტოქეობისას გაიბრწყინონ.

– ჩვენი გულშემატკივარის საქციელი გასაგებია, მივესალმები რომ ის გუნდისაგან უფრო მეტსა და მეტს ითხოვს, თუმცა ვთვლი, რომ ქვების სროლა მეტისმეტი იყო. როცა ფეხბურთელი მინდორზე გამოდის, ყველაფერი უნდა გაიღოს, მაგრამ თუ ფეხბურთელს საკუთარ მოედანზე საკუთარი გულშემატკივრების თანდასწრებით თამაში არ სურს, ძნელია ფეხბურთელებს ამაღლებული განწყობა შეუქმნა. როცა 0-3-ზე ტილბურგში დავმარცხდით, ჩვენ უკვე მაშინ წავაგეთ განმეორებითი მატჩიც, უკვე მაშინ შეექმნათ ასეთი უარყოფითი განწყობა ფეხბურთელებს“.

მურთაზ ხურცილავასთან კიდევ კარგა ხანს ვისაუბრეთ და ყველაფერს ისევ და ისევ ჩვენ ეროვნულ ჩემპიონატამდე, ქართული ეხბურთის სავალალო მდგომარეობამდე მივყავდით. გულშემატკივარს, ამ პატარა – საგაზეთო წერილით, რა თქმა უნდა, ვერ დავაკმაყოფილებთ და თუ ვინმეს უშუალოდ სურს შეხვდეს და ესაუბროს თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს, ამის ინიციატივას მურთაზ ხურცილავა თავად იჩენს. ის მზადაა შეხვდეს გულშემატკივრებს დიდმის ბაზაზე, თუ რა თქმა უნდა, ამის შესახებ მას წინასწარ აცნობებენ. შუამავლებად კი ჩვენ, სპორტული ჟურნალისტები, გვიგულეთ.

დათო თავართქილაძე

დღე პირველი – უსენსაციოდ

(პირველი გვერდიდან)

ნია, ხეცურიანი (4), ასოიშვილი (2), სანიკიძე (6).

შევარდენი: კაზანჯიანი (13), მაჭავარიანი (13), არსიაშვილი (3), ნუცუბიძე (25), ცაგარეიშვილი (7), ხობელია (5), ჩარგეიშვილი (5), ღვენეფაძე (2), მესხი, ტაბატაძე.

ამ მატჩშიც ერთი გუნდი აშკარად სჯობდა მეორეს – ლევან მოსეშვილის შეგირდებმა უპრობლემოდ მოიგეს პირველი ტაიმი, ხოლო შემდეგ თავს უფლება მისცეს „მაყურებელზე ეთამაშათ“:

ნიკოლაძემ, წიკლაურმა და შანიძემ „შევარდენის“ ფარი ეფექტური გარღვევებით „დაბომბეს“,

ტურის დანარჩენი ორი მატჩი დღეს, 2 ოქტომბერს გაიმართება: 15 საათზე შეხვდებიან სდასუ-სტუ, 17 საათზე თსუ-მაკაბი.

პროფესიული კრივის სამყაროში

რას მოუტანს ტაისონს 3 ოქტომბერი?

მართლაც თავში საცემად აქვს საქმე ტაისონს, ვინაიდან ძვირად დაუჯდა ჰოლიფილდის ყურის მოკვნეტა და საქმე იქამდე მივიდა, რომ შეიძლება სამუდამოდ დაემშვიდობოს მოკრივის კარიერას, რამაც მრავალმილიონიანი სიმდიდრე შესძინა. ყველაფერი ამ კვირაძალზე, 3 ოქტომბერს გადაწყდება ნევადის სპორტული კომისიის სხდომაზე, სადაც კენჭს უყრიან მოკრივის აპელაციას მისცენ თუ არა ახალი ლიცენზია, რომელიც მას რინგზე დაბრუნების უფლებას მოუტანს. მაგრამ ეს ასე ადვილად არ მოხდება. ამისათვის ტაისონი მასაჩუზეტსის ჰოსპიტალში გადის გამოკვლევას, რათა იგი ფსიქოლოგიურად ვარგისი სცნონ კრივისათვის.

პროცედურის ტესტირების თანახმად, მან უნდა უპასუხოს ფსიქიატრთა და ნევროფსიქოლოგთა ასობით კითხვას. გარდა ამისა, სპეციალისტები

მაიკ ტაისონი

გადამცემებით ტაისონს უღებენ მაჩვენებლებს.

ამ გამოკვლევის მიზეზს მოდიმარი მოკრივე უბრალოდ ხსნის. „ჰოლიფილდს ყური რომ მოვაკვნიტე, ამათ ჭკუაგადასული ვგონივარ“. ამასთან, დაამატა, რომ სურს კომისიამ იცოდეს: ძალზე წუხს, რაც მოხდა და იგი „მართლაც კარგი ჯეილია“.

კომისიის გადაწყვეტილებით, მოკრივემ უნდა გაიაროს გამოკვლევის ათი სახეობა, რომელიც გაარკვევს მისი სტრესის დონეს, სოციალურ კომფორტულობას, ეჭვიანობას, იმპულსურ ქმედებასა და მრავალი სხვა. ვაითუ „კვლავ მოკვნიტოს“ მეტოქეს ყური...

ცზიუ – ჩავესი?

კრივის მექსიკელმა ლეგენდამ ხულიო ჩავესმა, რომელმაც ამ დღეებში ვბც-ს ვერსიით ქვესაშუალო წონაში მსოფლიო პირველობის ტიტულისათვის ბრძოლა დაუთმო ოსკარ დე ლა ჰოიას, განაცხადა, უნდა სცადოს დაიბრუნოს უძლიერესის გვირგვინი, მაგრამ პირველ ქვესაშუალო წონაში.

ჩავესმა წერილობით მიმართა ვბც-ს და ითხოვს ჩემპიონობისათვის ბრძოლაში შეხვდეს მიგელ ანხელ გონსალესსა და ყოფილ რუსეთელ კონსტანტინ ცზიუს (ავსტრალიაში ცხოვრობს) შორის გამარჯვებულს. ეს მოკრივეები 28 ნოემბერს შეხვდებიან ერთმანეთს ჩემპიონის სარტყელისათვის.

საგულისხმოა, რომ დე ლა ჰოიასთან დამარცხების შემდეგ 36 წლის მექსიკელმა, რომლის ანგარიშზე 106 ბრძოლაა პროფესიულ რინგზე, გამოაცხადა თავისი გეგმები — იბრძოლოს იბფ-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობისათვის, რომელსაც ამერიკელი ვინს ფილიპსი ფლობს და შეხვედრის ვადაც დაასახელა — 18 დეკემბერი. მაგრამ შემდეგ შეცვალა ეს გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ სწორედ პირველი ქვესაშუალო წონა მისი იდეალური კატეგორიაა.

ვბც-ს პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა თქვა, რომ მისი ორგანიზაცია განიხილავს ჩავესის თხოვნას მორიგ სხდომაზე, 25 ოქტომბერს, იოჰანესბურგში.

მხატვრული ტანვარჯიში | საერთაშორისო ტურნირები

თბილისის, ბათუმის, რუსთავის წარმომადგენლებით...

ერთდროულად, სექტემბრის ბოლოს, მოსკოვსა და იზმირში გაიმართა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირები, როგორც დიდებში (სენიორები), ისე იუნიორებში. რუსეთის დედაქალაქში შეიკრიბნენ 17 ქვეყნის მხოლოდ პირველი და მეორე ნომერი სპორტსმენები, იზმირში პერსპექტიული ტანმოვარჯიშეები.

მოსკოვში, გრან პრის სერიაში, ჩვენგან ერთადერთი მონაწილე, რუსთაველი ინგა თავდიშვილი ასპარეზობდა. იგი ფინალურ ჯგუფში (12) შევიდა და ლენტით ვარჯიშში VIII იყო, მრავალჭიდში XV. „ინგას აშკარა წინსვლა ეტყობა, მისი საბოლოო შედეგია 38,673 ქულა. ასეთი შეფასება ადრე არ ჰქონია. ცალკეული საგნებით გამოსვლისას კი საშუალოდ 9,7; 8,7 ქულას იმსახურებდა“ – გვითხრა ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მზია ჯუღელმა.

იზმირის ტურნირში გამოდიოდნენ ბათუმელი ვანდა კერესელიძე, თბილისელები ნინო გედევანიშვილი – სენიორებში, ასევე თბილისელები ანა ალექსიშვილი და ქეთინო ბაკურაძე – იუნიორებში. ვანდა მრავალჭიდში VIII იყო, რგოლებით ვარჯიშში – III, სახტუნელათი – VI, გურზებით – VII, ლენტით – VIII. გედევანიშვილმა მრავალჭიდში დაიკავა XI ადგილი, ანა ალექსიშვილმა კი – VI, იგი როლებში V იყო, ბურთით – VI, გურზებით – VII.

ირინე სიდამონიძე

ტურნირის ოთხივე დისციპლინაში გამარჯვებული 15 წლის მოსკოველი ალინა კაბაევა

რა ხდება ქვეყანაზე

ცნობილი ადამიანის სიკვდილის შემდეგ რას არ იტყვიან...

39 წლის ამერიკელი ვარსკვლავის ფლორენს გრიფიტ-ჯოინერის უეცარი სიკვდილის გამო მითქმა-მოთქმა დღესაც გრძელდება, ვითომ დაღუპვის მიზეზი შედეგების გამაუმჯობესებელი პრეპარატებია, რომელსაც ჯოინერი დიდხანს იღებდა.

მაგრამ სოკის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრ დე მეროდმა გადაჭრით უარყო ყოველგვარი მსგავსი აზრი, მან აღნიშნა, რომ დიდი ხანია არსებობს მსგავსი მოარული ხმები. ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა, 1988 წლის სეულის ოლიმპიადაზე ამერიკელი ქალი სამი ოქროს მედლის მოპოვებისთანავე დოპინგის კონტროლის მკაცრ შემოწმებაში მოჰყვა. მაგრამ უხინჯოდ განვლო ყოველგვარი, „უაზრო“ ტესტიც კი. ცნობილმა გერმანელმა პროფესორმა მანფრედ დონიკემაც კი, რომელიც მსოფლიოში დოპინგის ყველაზე ავტორიტეტულ ექსპერტად ითვლება, დოპინგის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინა.

სოკის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გარდაცვლილი მძლეოსნობის ვარსკვლავის გარშემო ყოველგვარი ხმები „დახურულად“ უნდა ჩაითვალოს და მოუწოდა ყველას, ნუ ხელჰყოფენ ამ დიდი სპორტსმენის სახელსა და სულის სიმშვიდეს.

უარი თამბაქოს სპონსორებს

ავსტრალიის ჯანდაცვის მინისტრმა მ. ვულდბრიჯმა გამოაცხადა, რომ თამბაქოს კომპანიებს აეკრძალებათ საერთაშორისო შეჯიბრებების სპონსორობა. 1992 წლიდან მწვანე კონტინენტზე ქვეყნისშიდა შეჯიბრებებში აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის რეკლამა და თამბაქოს კომპანიების სპონსორობა. გამონაკლისს წარმოადგენს თუ რომელიმე დიდ შეჯიბრების ჩატარებას ჩაშლა ემუქრება.

ეს გამონაკლისი ვრცელდება მელბურნის „ფორმულა-1“-ზე, „გრან-პრის“ მოტორბოლის ეტაპზე, ავტორბოლაში ავსტრალიის პირველობაზე და გოლფში ქალთა ტურნირზე.

მინისტრი იმედოვნებს, რომ ამ ტურნირების ორგანიზატორები გამონახავენ ალტერნატიულ სპონსორებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს, სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაციის პრეზიდენტს, სეოკის წევრს ბაკურ გულუას დის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ბაკურ გულუას დის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად

ანატომიის კათედრაზე
1. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნ. კანდიდატი

ფიზიოლოგიის კათედრაზე
1. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნ. კანდიდატი

ფკ მართვის კათედრაზე
1. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნ. კანდიდატი

მძლეოსნობის კათედრაზე
1. კათედრის უფრ. მასწავლებელი — 1 ერთეული

ფეხბურთის, ხელბურთის, ჩოგბურთის კათედრაზე
1. კათედრის მასწავლებელი — 1 ერთეული ფეხბურთის სპეციალიზაციაში

საწყლოსნო სპორტის კათედრაზე
1. კათედრის გამგე — 1 ერთეული, პროფესორი

ჭიდაობის კათედრაზე
1. კათედრის უფრ. მასწავლებელი — 1 ერთეული, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.
2. კათედრის უფრ. მასწავლებელი — 1 ერთეული სამბოს სპეციალობაში

მრავალჭიდის კათედრაზე
1. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნ. კანდიდატი, თანამედროვე ხუთჭიდის სპეციალიზაციაში
2. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნ. კანდიდატი ტყვიის სროლაში

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №49; ტელ: 23-09-02.

ფოტოკროსვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
თარაზულად: 5. ავდანეთი, 6. გავაშელი, 8. ატამანოვი, 11. შაორი, 14. კენია, 15. მახვილი, 16. კლარკი, 17. გამაში, 21. იმპერია, 22. ბურთი, 23. ელიტა, 26. პარასკევი, 27. „სპარტაკი“, 28. კარტინგი. **შვეულად:** 1. ავტორალი, 2. ბერტი, 3. ხვავი, 4. „ოლიმპიკი“, 7. კარავი, 9. ჩრდილოეთი, 10. მელაშვილი, 12. სარკომა, 13. ალმასი, 18. ლაუდრუპი, 19.პერესი, 20. კატალოგი, 24. კაკაო, 25. დვირი (კროსვორდში ამ შეკითხვაში უნდა ყოფილიყო — სპორტული იარაღი).

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(თბილისი)



შამათი 4 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლg7! - ცუგცვანგი,
1. ...მფ:d1 2. მfd3 მfc1 3. ლa1X
2. ...მfe1 3. ლg1X,
1. ...მf:e3 2. ლd4+ მfe2 3. ლd2X,
1. ...მf2 2. ლg1X მfe2 3. ლe1X,
და 1. ...f2 2. ლg4+ მf:e3 3. ეd3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, ჭ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე